შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ა ქ ტ ი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2012წლის 21 აგვისტოს დადებულ № 313 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტსა (შემდგომში-შემსყიდველი) და შ.პ.ს. „ცეკური" შემდგომში-მიმწოდებელი) შორის 2012წლის 21 აგვისტოს დაიდო ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის №972 განკარგულებით გამოყოფილი თანხებით, ქ. ცაგერში ბაზრის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიის და კოსტავას ქუჩის გზის მოწყობის სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მუშაობა მიმდინარეოდა, მაგრამ სამუშაოთა წარმოებას ხელი შეეშალა გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში შესრულებაზე ამინდის ცვლილების გამო გარკვეულ პერიოდში შეუძლებელი იყო როგორც ბეტონის სამუშაოების შესრულება არხებისათვის, ასევე გზის საფარის მოწყობა ასფალტ-ბეტონით. აღმოჩენილი იქნა გაუთვალისწინებელი მიწისქვეშა კომუნიკაციები კერძოდ კავშირგაბმულობის გაყვანილობა, ამას დაემატა ცვლილება შესასრულებელ სამუშაოებში რომელიც განხორციელდა 30 ნოემბერს. ყოველივე ამის გათვალისწინებით და იმის გამო რომ ზამთრის პერიოდში ჩვენს პირობებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება შეუძლებელია შ.პ.ს. „ცეკური"20.12.2012 №877 განცხადებით ითხოვს შესასრულებელი სამუშაოების დასრულებისათვის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას 2013წლის 30 აპრილამდე.

ხელშეკრულებაში მითითებული მხარეების შეთანხმებით ხელშეკრულების 5-1 და 10-1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 30 აპრილი.

8.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 30 აპრილი.

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 30 აპრილი.

შეთანხმება ცვლილების შესახებ ჩაითვალოს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ცაგერის მუნიციპალიტეტი	შ.პ.ს. „ცეკური"
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს	დირექტორი:
თავმჯდომარე: /მ/ ლეთოდიანი/	/[illegible]/

ა ქ ტ ი

ქ. ცაგერი 2012წლის 24 დეკემბერი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი: ცაგერის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ზედამხედველობის მთ. სპეციალისტებმა თამაზ ბენდელიანმა, გურამ ყურაშვილმა, მირიან ხეცურიანმა, ცაგერის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთ.სპეციალისტმა დ. ლეთოდიანმა, ცაგერის თემის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულმა, ტექ. ზედამხედველმა ბაქარ ყურაშვილმა შევადგინეთ ეს აქტი შემდეგზე.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მუშაობა მიმდინარეოდა, მაგრამ სამუშაოთა წარმოებას ხელი შეეშალა გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში შესრულებაზე ამინდის ცვლილების გამო. გარკვეულ პერიოდში შეუძლებელი იყო, როგორც ბეტონის სამუშაოების შესრულება არხებისათვის, ასევე გზის საფარის მოწყობა ასფალტ-ბეტონით. აღმოჩენილი იქნა გაუთვალისწინებელი მიწისქვეშა კომუნიკაციები კერძოდ კავშირგაბმულობის გაყვანილობა, ამას დაემატა ცვლილება შესასრულებელ სამუშაოებში რომელიც განხორციელდა 30 ნოემბერს.

ზამთრის პერიოდში ჩვენს პირობებში მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ბეტონისა და ასფალტო-ბეტონის სამუშაოების შესრულება.

აქტი სწორია და ხელს ვაწერთ

ინსპექტირების ჯგუფი; /თ. ბენდელიანი/

/გ. ყურაშვილი/

/მ. ხეცურიანი/

/დ. ლეთოდიანი/

ტექ. ზედამხედველი : /ბ. ყურაშვილი/